სახალხო გაზეთი

№ 398 კვირა, 11 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 398

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [illegible]ლებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ენკენისთვის 18-ს, მუშტაიდის ბაღში გაიმართება

სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრით

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

„საზოგადოების" გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, მოგვაწოდოს შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში. სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა. გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს. (7—1492—2)

დღევანდელ ნომერთან რიგდება ა. შანშიაშვილის „შვების თავადის" განცხადების ფურცლები. (1 1495.1)

დ. ყვირილაში

„სორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად

„სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით
1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე
ღირს 3 მან. 20 კაპ.
ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . **80 კაპ.**
ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)
რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

დღეს, 11 ენკენისთვეს, წმ. ნინოს სასაფლაოზე წირვის შემდეგ, შუადღის 12 საათზე, გადახდილ იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქსილოგრაფის

გრიგოლ პავლეს ძის ტატიშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე და შვილები. (1—1)

მარიამ დიმიტრის ასული ნათაძისა შვილებითურთ, ალექსანდრე ივანეს ძე ნათაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

იასონ ივანეს ძის ნათაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს. წმ. ნინოს სასაფლაოზე. ბინიდან გაასვენებენ დილის 9 საათზე. არაგვის ქუჩა (ვერაზე), № 3. (2—808—2)

ახალი კლუბი

კვირას, 11 ენკენისთვეს, 1911 წ.
ქართველ არტისტთა ამხანაგობისაგან ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით ქართულად წარმოდგენილ იქნება:

ედმონდ კინი

დრამა 5 მოქ. ა. დიუმასი, თარგ. ვ. გუნიასი.
დასაწყისი საღ. 9 ს. რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადგილების ფასი თეატრში 1 მ. 25 კ—მდე. მოსწავლეები იხდიან ბაღში შესასვლელად 10 კ., თეატრის ბილეთისას 30 კაპ.; წარმოდგენის შემდეგ ბაღში დარჩენა მათი აღარ შეიძლება. სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასსა.

წარმოდგენის შემდეგ ლოტო. (2—1432—2)

ახალი კლუბი

ორშაბათს, 12 ენკენისთვეს, 1911 წ.

დანიშნულია განსაკუთრებითი საზოგადო კრება „ახალი კლუბის" წევრთა განსახილველად აუცილებელი საკითხებისა.
დასაწყისი საღ. 7 ს.

(2—1432—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. ამბულატორიულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ბიდეგანაშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ.-რ., და პარ. 10½—11 ს.

ბეგთაბეგოვი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვა ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., ღარიბები უფასოდ.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ., ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფარბულოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულუგური ა. ი. საშშობიარო და ქალის 12—1 ს. ღარიბები უფასოდ.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი გ. გ. ფედოროვი. ღარიბები უფასოდ.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცკონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (წ.—1089—567)

თავადი ვასილი გიორგის ძე და კნეინა ელისაბედი ივანეს ასული მაჩაბლები გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, რომელთაც თავისი პირადის დასწრებით, სამძიმრის დეპეშით თუ წერილებით თანაგრძნობა გამოუცხადეს მათ თავის საყვარელი და დაუვიწყარის ქალის

თამარა გალაჯოვის

უდროოდ გარდაცვალების გამო. (1—809—1)

კონსტანტინე დიმიტრის ძე და ანასტასია დიმიტრის ასული ბაქრაძენი ულრმეს მადლობას უძღვნიან იმ მოწაფეებს და კლასის დამებს ქუთაისის სახელმწიფო საქალებო გიმნაზიისას და აგრეთვე იმათ, ვინც კეთილ ინებეს და პირადად, თუ წერილობით მიიღეს მონაწილეობა მათ მწუხარებაში და მით ანუგეშეს

საბრალო კატულიას

უდროოდ დაკარგვის გამო ჩვენი დაწყლულებულ გული. (1—1485—1)

ვასწავლი

ქართულ სიმღერა-გალობას
(გუნდისთვის)
მიღება და ჩაწერა 20 ენკენისთვემდის.

მოწაფეებისთვის და მოხელეებისთვის სამშაბათობით საღ. 5—6 საათამდის. მუშებისთვის და ნოქრებისთვის კვირაობით დილის 8—9 საათამდის.

ადრესი: ავჭალის მოედანი № 11, სახლი ჩემოდანოვისა, სიხეილ კავსაძესთან. (15—1424—11)



(25—1456—12)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. (ი—132)

გამოვიდა და იყიდება

ახოსპირელის
დრამატიული პოემა
შვენება და სიყვარული
გამოცემა მიხაკო ლადიძისა.
ფასი 15 კაპ.

საწყობი ქ. შ. წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში. და სოხიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში. ვინც ოც ცალს ერთად იყიდის მანეთზე 20% დაეთმობა. (5—3)

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს ყველას, ვისაც კი სურს

თავის გამოცდა სცენაზე,

რომ გამოსაცდელი წარმოდგენა დანიშნულია სექტემბრის 21-თვის.

მსურველნი მიმართამენ რეჟისორ ვლ. ალექსი-მესხიშვილს ყოველ დღე შუადღის 12 საათ. ქართულ თეატრში. (2—810—1)

ა. შანშიაშვილის „შვების თავადი"

ფასი 60 კაპ.

„სახალხო გაზ." ხელის მომწერთათვის 40 კაპ.; იყიდება ყველგან.
საწყობი: ქართვ. ამხან. სტამბაში (ვანქის ქ., № 12) გამომცემელ მ. ნემსაძესთან. (10—2)

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა

აძლევს იჯარით

სოფელ საგურამოში ილიასეულ მამულს. განცხადება იჯარის აღების შესახებ მიიღება მხოლოდ პირველ ოქტომბრამდე წ. კ. საზოგადოების კანცელარიაში. პირობებისა და დაწვრილებით ცნობების შეტყობა მსურველს შეუძლიან გამგეობის წევრთან ა. თ. ყიფშიძესთან (დეპუტატთა საკრებულოში, ბებ. ქუჩა). (3.1491.2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—137)

ა. კ. გედევანიშვილის საბავშვო ბაღი

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება [illegible] სექტემბერიდან. ბავშვები მიიღებიან 5-დან 7 წლამდე. ბავშვების ჩაწერა და დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი, № 8, ნ. ნაკაშიძესთან 12 საათიდან 2-მდის, ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა. (10—1475—9)

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ 1 ოქტომბრამდე არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა მე-4 წიგნზე
„წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან" 1901-2 წ."
ფასი ხელის მომწერთათვის 35 კაპ.

ქ. გორში ქალთა სახელოსნო —სკოლა—

ელენე თარხან მოურავის ხელმძღვანელობით. პირველ სექტემბრიდან ქ. გორში გაიხსნა ქალთა სახელოსნო სკოლა სამის წლის კურსით, სადაც ისწავლება ყოველგვარი ხელსაქმე, **ჭრა-კერვა** და **ბაშმაკების კერვა**. აქვე მიიღება მოწაფე ერთის წლის კურსით, რომელიც შეისწავლის განსაკუთრებით ჭრა-კერვას. აგრეთვე იქნება სადამოს კურსები მეოჯახე ქალთათვის. მიიღება ყოველგვარი საკერავი ქალთა და ბავშვთა ტანისამოსისა. მოწაფეები მიიღებიან არა ნაკლებ თორმეტი წლისა. მიიღება მოწაფედ წერა-კითხვის არ მცოდნეც. მოწაფეებს იყვანენ ბინითაც. პირობების და პროგრამის გაცნობა შეიძლება პირადად და წერილობითაც. ადრესი: სამეფო ქუჩა, № 33. (10—1493—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 693.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. ხტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთ ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით. ([illegible]—1090—155)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაჯაშვილისა [illegible])

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathien-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-და და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—10)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-შანტურიანი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—25)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

მედიცინის დოქტორი ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნი ქ., სახ. № 18, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—17)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი.

ექიმი გ. მ. ლოლობერიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე. კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—29)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—104)

ექიმი ზ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—23

ექიმი კბილისა ალ. სოლოდაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ტფილისი, 11 სექტემბერი

სტოლიპინი და მისი მოღვაწეობა.

სტოლიპინის მოკვლამ მთელი რუსეთი აალაპარაკა, იგი, მართლაც, ფრიად საყურადღებო და ძლიერი პიროვნება იყო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მისი დანიშვნის დღიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში. ძნელია ერთს საგაზეთო წერილში მთელი მისი მოღვაწეობის დახასიათება. მაგრამ ზოგიერთ დამახასიათებელ მომენტების აღნიშვნა მაინც შესაძლებელია. სტოლიპინს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა იმ დროს ჩაბარდა, როდესაც რევოლიუციონური მოძრაობა მინელდა. მთავრობის პოლიტიკას მახლობელ მი-

ზანს შედგენდა მოძრაობის სრული ლიკვიდაცია, და სტოლიპინიც ამ მიზნის განსახორციელებლად საუკეთესოდ იქმნა აღიარებული. სტოლიპინმა საქმეს, მართლაც, ენერგიულად მოჰკიდა ხელი და მთელ რიგ რეპრესიულ ზომებთა წყალობით რევოლიუციონური მოძრაობა მოსპო. მაგრამ სტოლიპინი თავის დანიშნულებას მარტო ამაში არა ხედავდა. პირველ ხანებში იგი გადაჭრით აცხადებდა, რეპრესიულ ზომების გარდა, რომელნიც მხოლოდ გარეგან ეფექტს ახდენს, საჭიროა რეფორმებიო. როგორ ესმოდა მას ეს ფორმულა, რანაირი რეფორმების შემოღება მიაჩნდა საჭიროდ,—ეს გამოირკვა შემდეგ, როდესაც სტოლიპინი მართლაც შეუდგა თავის რეფორმების განხორციელებას. რაც მეტი დრო მიდიოდა, უფრო ნათლად იკვანძებოდა როგორც პოლიტიკური იდეალი სტოლიპინისა, ისე მოქმედების გეგმაც. სახელმწიფო სათათბიროსთან სტოლიპინს ხშირად მოსდიოდა უთანხმოება. საარჩევნო სისტემის შეცვლით სტოლიპინმა შეჰქმნა მთავრობის მორჩილ ოქტომბრისტების სათათბირო, მაგრამ ეს სათათბიროც კი ხშირად არ იწონებდა სტოლიპინის მოქმედებას; იბადებოდა უთანხმოება, რომელიც ბოლოს და ბოლოს სტოლიპინის გამარჯვებით თავდებოდა, მაგრამ რომელიც განსაზღვრულ კვალს მაინც სტოვებდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამისთანა განხეთქილების დროს სტოლიპინი ყოველთვის ამბობდა, ჩემი იდეალი ნაციონალურიაო. მთავრობას ვერ შეუძლიან უარი სთქვას ნაციონალურ იდეალებზეო, ამბობდა სტოლიპინი და კიდეც სცდილობდა განეხორციელებინა ეს იდეალები, როგორც ესმოდა და საჭიროდ მიაჩნდა.

თვით სტოლიპინს იმდენად ღრმადა სწამდა ყველაფერი ის, რასაცკი აკეთებდა, იგი ისეთს უდიდეს ნაციონალურ ღირებულებას წარმოადგენდა, რომ ხშირად კონსტიტუციონურ პრინციპებს ჰღალატობდა და თავის აზრების განსახორციელებლად ისეთს ზომებს მიჰმართავდა ხოლმე, რომელნიც ვერას გზით ვერ ეგუებოდნენ ახალს წეს-წყობილებას. ერთი ამისთანა ზომათაგანი იყო საკანონმდებლო დაწესებულებათა სამის დღით დათხოვნა და სტოლიპინის სასურველ კანონ-პროექტის დამტკიცება 87 მუხლის ძალით.

ამ ზომამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც სახელმწიფო საბჭოში, ისე სათათბიროში. შეტანილ იქმნა შეკითხვა ორივ პალატაში. სტოლიპინის განმარტებამ ვერც ერთი პალატა ვერ დააკმაყოფილა. სხვაგან, სადაც სრული პარლამენტარიზმია გამეფებული, ასეთი უნდობლობა ქვედა და ზედა პალატისა სამინისტროს გადადგომას გამოიწვევდა, მაგრამ... და სტოლიპინიც თავის ადგილზე დარჩა.

რაში გამოიხატა სტოლიპინის ნაციონალური იდეალები, რომელთაც ანაცვალა საკონსტიტუციო პრინციპები და ტრადიციები სახალხო წარმომადგენლობისა? ხასიათი ამ ნაციონალურ იდეალებისა ისეთივეა, რანაირსაც ისახავენ რუსეთის სხვა და სხვა მონარქისტული ორგანიზაციები: თავად-აზნაურულ წოდების განმტკიცება (რეფორმა საარჩევნო სისტემისა), მიწის საზოგადოებრივ უფლებლობისა დარღვევა (9 ნოემბრის კანონი), ფინლანდიის უფლებათა შეზღუდვა, დასავლეთ გუბერნიებში ნაციონალურ კურიებით ერობის შემოღება, საზოგადოდ, არა-რუსთა უფლებრივი შეზღუდვა, წარმოების ნაციონალიზაცია და სხვა. დაპირისპირება რუს და არა-რუს ელემენტებისა, დაპირისპირება მათის ინტერესებისა სტოლიპინს წარმოდგენილი ჰქონდა რუსეთის ნაციონალურ სახელმწიფოებრივ იდეალად.

გასაოცარის ენერგიით და დაჟინებით ანხორციელებდა სტოლიპინი ამ რეფორმებს მაშინ, როდესაც 17 ოქტომბრის მანიფესტი განუხორციელებელი რჩებოდა. მესამე, მორჩილი სათათბიროც კი ბუმბერაზ მუშაობას ეწეოდა, რომ როგორმე შემოქმედებითი მუშაობა 17 ოქტომბრის მანიფესტში აღნიშნულ თავისუფლებათა განხორციელებისკენ მიემართა, მაგრამ სტოლიპინი თავისის ძლიერის ხელით ახშობდა ამ შემოქმედებას და სახელმწიფოებრივ საქმიანობის სასწორს სულ სხვა მხრისკენ ჰხრიდა. სტოლიპინი სისტემატიურად ანვითარებდა თავის პოლიტიკას, აღრმავებდა მას, და ვინ იცის, როგორი იქნებოდა დასასრული ამ შემოქმედებისა! ყოველ შემთხვევაში შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ იგი ლოღიკური დასკვნა იქნებოდა მის მთელ მოღვაწეობისა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, მიუხედავად სტოლიპინის დიდი გამჭრიახობისა, ალღო ვერ აართო თანამედროვე მომენტს. რევოლიუციის შემდეგ, როდესაც სახელმწიფო სათათბიროში გაბატონდნენ —ზომიერი და ხშირად უკიდურესად ზომიერი—ელემენტებიც, როდესაც მთავრობის წინ მშვიდობიან საქმიანობის პერსპექტივა გადაიშალა, სტოლიპინი მაინც ვერ ჰხედავდა ამ გარემოებას. სისტემა მართვა-გამგეობისა, რომლის დამახასიათებელ თვისებად აზუფი შეიძლება ჩაითვალოს, ისევ ძველებური დარჩა. თუმცა, სათათბიროს მოწვევით პოლიტიკურ ბრძოლის საშუალებანი არსებითად შეიცვალა.

სათათბირო ლეგალური ასპარეზია პოლიტიკურ ბრძოლისა. სტოლიპინსაც რომ ამნაირად შეეფასებინა სათათბირო, მაშინ, უეჭველია, ადგილიც აღარ ექნებოდა იმ საშინელ ამბავს, რომელმაც მთელი რუსეთი აღაშფოთა...

რუსეთის პრესა და სტოლიპინი

მოსკოვში პ. ა. სტოლიპინი წარსული წლის აგვისტოს იყო. ძალიან აინტერესებდა შინამრეწველობის განვითარება მოსკოვის გუბერნიაში.

პირველად სტოლიპინის მოკვლა 1906 წლის 12 აგვისტოს სცადეს, აფთიაქის კუნძულზე, როდესაც მისი სახლი ააფეთქეს.

აფეთქებამ 30 კაცი დასჭრა და 22 მოჰკლა. სხვათა შორის დაშავდა სტოლიპინის ასული და დაიჭრა მისივე პატარა ვაჟი. თვით პ. ა. კი უვნებლად გადარჩა.

სტოლიპინის საპოლიტიკო მოღვაწეობას ნათლად მისი ორთავ პალატასთან უთანხმოება ახასიათებს. მათ ერთსულოვნად უარჰყვეს სტოლიპინის პირმშო შვილი, დასავლეთ გუბერნიების ერობის კანონ-პროექტი.

სტოლიპინს სათათბიროს წინააღმდეგობისათვის შეეძლო ანგარიში არ გაეწია, მაგრამ საბჭოში საქმე სხვანაირად იყო, რადგან საბჭოს სტოლიპინი ისევე უთმობდა, როგორადაც მას სათათბირო.

მინისტრის იმ წრეში დამარცხებამ, რომლისთვისაც მან ყველაზე ბევრი გააკეთა, ნათლად დაანახვა მას, რომ შეუძლებელია მთავრობის სათავეში დგომა და თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა.

პალატათა მიერ გამოწვეულმა პირველმა სამინისტროს კრიზისმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამისთანა ერთსულოვნება ორ პალატათა, რომელთა შორის ერთის მოვალეობას, სახელდობრ ზედაპალატისას, ქვედა პალატის ფრთების შეკვეცა შეადგენს.

სამინისტროს კრიზისი სტოლიპინის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. რითაც სტოლიპინი დააკმაყოფილეს, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

უმაღლესის ბრძანებით სათათბიროსა და საბჭოს მოქმედება სამი დღით შესწყდა.

ამ ხნის განმავლობაში გამოიცა დასავლეთ მხარეს ერობის შემომღები, კანონი, ძირითად კანონთა მე 87 მუხლის ძალით.

სტოლიპინის უმთავრესნი მოწინააღმდეგენი, სახელმწიფო საბჭოს წევრნი დურნოვო და ტრეპოვი დათხოვნილ იქმნენ 1911 წლის 1 იანვრამდე, რომელიც თითქმის მათს გამორიცხვას უდრიდა.

ყველა ამ აქტმა გვაჩვენა, რომ უმაღლეს წრეებში პრემიერის სათავეში დგომა აუცილებლად მიაჩნიათ და ამიტომაც დიდადაც აფასებდნენ.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქალაქის გამგეობამ** შუამდგომლობა აღძრა 400,000 მან. სესხის აღების ნება დაერთოს. გარდა ამისა გამგეობა შუამდგომლობს, —პოლიციის შესანახ ხაზინის დარჩენილი ვალასახადი 1,080,224 მ. 28 კ. ნაწილ ნაწილად გადაახდევინონ.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს მომწყობ ბიუროს, რომ 15 დან 20 სექტემბრამდე განზრახულ **ექიმთა კრებაზე**, დასწრების ნება მიეცეს ქალაქის ექიმებს. გარდა ამისა ქალაქის გამგეობა ქალაქის საბჭოს წინადადებას მისცემ წარმომადგენლად ორი ქალაქის ექიმი აირჩიონ.

✦ **ტრამვაის დირექტორისა და ქალაქის გამგეობის** შორის ამ ბოლო ხანებში მომხდარ უთანხმოების გამო, ქალაქის გამგეობამ საბჭოში წინადადება შეიტანა ხელშეკრულების მე-25 მუხლის შეცვლის თაობაზე.

✦ **ამომრჩეველთ, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო** სიებში არ იყვნენ შეტანილნი, და რომელთათვისაც ვადა სამი სექტემბერი იყო დანიშნული, კიდევ შეუძლიანთ მიჰმართონ ქალაქის გამგეობაში, რომელიც მათ სიაში შეიტანს. გარდა ამისა, დარჩენილ გადასახადის შეტანა კიდევ გაგრძელდება რამდენიმე ხნით, და ვისაც გადასახადის შეტანა ჰსურს, რათა საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ დაჰკარგოს, გადასახადის შეტანას უნდა დაეშუროს.

✦ ტფილისის ტრამვაის მოსამსახურეთა თვის **მომხმარებელთა მაღაზია იხსნება**, რომელიც ტრამვაის გამგეობასთან იქნება მოთავსებული.

✦ გუშინ, შუადღის 7 საათზე, დიდიმთავარის ქუჩაზე აკურთხეს **სახერხი ქარხანა** „სერებრიაკოვი და ანდრეევი“-სა.

✦ ქ. წ. კ. გ. საზოგადოებაში მცხეთის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა რუსიშვილმა განაცხადა, მცხეთის სადგურის პირდაპირ მთაში ბოაულს ქუმსიშვილს დაზვერის დროს აღმოუჩენია ძველი საყდარი, რომელიც საქართველოს პირველ ქრისტიანობის საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. საყდარი მიწას დაუფარავს. გარედან ხვრელი შესდევს. ხვრელს პირს ქვა ჰქონია მიფარებული, შიგნით არც რაიმე მხატვრობა არც ხატები არ არის, მხოლოდ ტრაპეზი ამტკიცებს, რომ ეკლესიად იყენებდნენ. ქვა ბ. ქუმსიშვილს შინ წაუღია.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა, სცენაზე ახლად შემსვლელთა გამოსაცდელი წარმოდგენა 18 სექტემბერს გაიმართოს. მსურველთ უნდა მიჰმართონ რეჟისორს ვლ. ალექსი-მესხიშვილს.

✦ **ნაძალადევის სახლის პატრონებთა და ქალაქის გამგეობის დავა** ამ ცოტა ხანში გათავდება. ქალაქის გამგეობამ საფინანსო და იურიდიული კომისიის დახმარებით შეაფასა ნაძალადევის საქალაქო მამულები და დასამტკიცებლად საბჭოს წარუდგინა.

✦ 18 სექტემბერს, მ. ა. ჯაბარი ბირჟის დარბაზში წაიკითხავს **რეფერატს:** „ჩვენი საქალაქო მართვა-გამგეობა და მეურნეობა“.

✦ გუშინ, შუადღისას, საუფლისწულო სარდაფის (წყნეთის ქუჩაზე) სადურგლო განყოფილებაში **ცეცხლი გაჩნდა**, რომელიც ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გააქრო. ზარალი 500 მანეთამდეა.

✦ მიწათმოქმედების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ა. ა. კნიაზე თერგის ოლქის, ხასავიურტის ნაწილში წავიდა, სადაც იქაურ ბამბის სამრეწველო რაიონებს შეისწავლის.

✦ მიწადმოქმედ და მიწადმომწყობ მთავარ გამგეობამ გადასწყვიტა, ამიერ-კავკასიის თევზის სამრეწველოების საქმეთა მოსაწესრიგებლად გამოგზავნოს მეთევზეობის უფროსი სპეციალისტი ნ. ა. ერგომიშევი.

წვრილი ამბები.

✦ 9 სექტემბერს, საერთო ჩხრეკადაპატიმრების დროს ტფილისში შეიპყრეს 18 უპასპორტო.

✦ 9 სექტემბერს, მნაცაკანოვის ხიდიდან მტკვარში გადახტა თავის მოკვლის განზრახვით, ანასტასია ბოგომოლოვისა, მაგრამ მეთოგმა პოლიციელმა მარდიშვილმა დარჩობას გადაარჩინა.

✦ 9 სექტემბერს, მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ამას დღეს იქ მიყვანილი ალექსანდრე ბრენშტეინი. ექიმების შემოწმებით, იგი დოთოების მსხვერპლი გამხდარა.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ **მეოთხე უბნის ქართველ ამომრჩეველთა კრება შესდგება**, დღეს, საღამოს 8 საათზე ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოს სადგომში, მუხრანის ქუჩაზე.

✦ ორშაბათს, 12 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე „**ახალი კლუბის**“ **წევრთა საგანგებო საზოგადო კრება მოხდება.** განსახილველია: 1) წესდებისა 6 და 9 მუხლის შეცვლა 2) საზამთრო სადგომის დაქირავების საკითხი და 3) მამასახლისთა ახალ შემადგენლობის არჩევნები.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება ხვალ, 12 სექტემბერს, მოხდება. საბჭო, სხვათა შორის, მოისმენს ქალაქის მოურავის მოხსენებას პრემიერ-მინისტრის პ. ა. სტოლიპინის ტრაგიკულად გარდაცვალების თაობაზე. საბჭოს იმ დღეს 35 საქმე აქვს განსახილველი.

სასწავლებლებში

✦ ქალაქის გამგეობამ დაამზადა მოხსენება ტფილისში ნ. ი. შიოევის სახელობაზე **სამხატვრო-სამრეწველო სკოლის გახსნის თაობაზე**, რომელსაც განსახილველად ქალაქის საბჭოს წარუდგენს

სასამართლო

✦ **ტფილისის ოლქის სასამართლოს** მე-2 განყოფილების სესია, რომელშიაც შედიან სასამართლოს წევრები: ი. ლ. კურმანოვიჩი, ი. გ. ვალედინსკი; პროკურორის თანაშემწეები: ვ. ბ. არხანგელსკი და დ. მ. გავრილოვი, ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, **თელავს გაემგზავრა**, სესიის სხდომები 18 ენკენისთვემდე გაგრძელდება.

✦ ტფილისის საოლქო სასამართლოს სესია, რომელიც **თიანეთში იყო**, 8 სექტემბერს ტფილისს დაბრუნდა.

სომეხთა ცხოვრება.

✦ სომეხთა ნერსესიან სემინარიის შენობა გარედან სრულიად დამთავრებულია. ეხლა შიგნითა პირს აკეთებენ და ცენტრალურ გათბობას აწყობენ. სამხრეთის ნაწილს სექტემბრის ბოლოსთვის დაამთავრებენ და სწავლასაც იქ გადაიტანენ.

მთელი შენობა კი გაზაფხულამდე ვერ დამთავრდება.

✦ ერევნის გუბერნატორმა ა. ფ. ტურ-აბრამიანს ნება დართო ერევანში გამოსცეს სომხური გაზეთი „ნორ დზაინე“ („ახალი ხმა“).

ქუთაისი

✦ **სოხუმის სახალხო უნივერსიტეტს** განუზრახავს მოზრდილთა სკოლისათვის გამგის მოწვევა. გამგეობა ლექციების დაწყებამდე შეეკითხება წევრებს, თუ რა შინაარსის ლექციების მოსმენა ჰსურთ.

✦ ქუთაისის გუბ. სახალხო სასწავლ. **დირექტორი ბ. ხემიონოვი.** პედაგოგიურ ასპარეზზე 27 წლის მოღვაწეობის შემდეგ, **სამსახურიდგან გადადგა.** ამ ხნის განმავლობაში მან დაიმსახურა საზოგადოების ღრმა პატივისცემა. 7 ენკენისთვეს ის გაემგზავრა სოხუმში, სადაც საცხოვრებლად დარჩება. მის გასაცილებლად ქუთაისის სადგურზე გამოვიდნენ ბევრი სხვადასხვა სასწავლებლების მასწავლებლები. ბევრმა სად. რიონამდე გააცილა.

✦ ოზურგეთში საქმის გამოსაძიებლად წასული **ვიცე გუბერნატორი მაკაროვი** ქუთაისს დაბრუნდა.

✦ **სად. დარკვეთი.** ხუთშაბათს, 8 ენკენ., ვიღამაც ვინტოვკას თოფით ხელში მსუბუქად დასჭრა შავი-ქვის სარეცხ ქარხნის მუშების მეთვალყურე გრიგორ მინაევი. დაჭრილი ჭიათურის საავადმყოფოში წაიყვანეს. მსროლელი მიიმალა.

✦ **სოფ. ვაკიჯვარი.** წარსულ კვირას ვაჭარ ქიშვარდი გიორგაძეს ბეღლიდან გასაყიდად გამზადებული სიმინდი მოჰპარეს 150 ფუთამდე. ნაპარევი აღმოაჩნდა მის მეზობელს ა. გ—ძეს; აქაურმა მთავრობის მამასახლისმა კაკაც-ოლლიმ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ საქმეს. ორი დღის შემდეგ ქურდობა განმეორდა. მამასახლისმა კრება მოიწვია და ორი უდანაშაულო კაცი დაიჭირა, მხოლოდ დამნაშავე ისევ ხელუხლებლად დასტოვა. მიზეზათ ის დაასახელა, რომ ასეთ ქურდობისთვის არავითარ სასჯელს არ მისცემენო.

✦ **სურამი** 8 ენკენ, დილით ფოთის პოლკის ნასვამი ოფიცერი შესულა კლუბში, ცივი ლუდი მოუთხოვნია. მებუფეტეს არ ჰქონია გაცივებული ლუდი. ამაზე შელაპარაკებულან და ოფიცერს რევოლვერით მოუკლავს მებუფეტე ივანე კარანაძე,

✦ **ა. ი. შინგარიევის ლექციები.** დღეს, 12 სექტემბერს, ქალაქის თეატრში საღამოს $8^1/_2$ საათზე, დეპუტატი შინგაროვი (კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის გამოჩენილი წევრი) წაიკითხავს ლექციებს: „**ალკოჰოლიზმი და ხალხის ჯანმრთელობა.**“ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ადგილების ფასი დაკლებულია. („მნათობის“)

ოზურგეთი

✦ ქუთაისის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი მაკაროვი აქ ერთი კვირა დარჩა, ბევრი სოფელიც ინახულა. ახდენდა სასტიკ გამოძიებას პოლიციელების თვითნებობისა და უკანონო მოქმედების შესახებ. როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ვიცე გუბერნატორსა და ჟანდარმის როტმისტრს ამ მხრივ ბევრი რამ საყურადღებო აღმოუჩენიათ. მცხოვრებლები სიმართლის აღდგენის მოლოდინით ცოტაოდენ დამშვიდებასა ჰგრძნობენ...

სხვა და სხვა ამბები

კიევი

✦ ქალაქის დასაცველად კაზაკთა სამი პოლკი მოვიდა.

✦ ამბობენ, დღესასწაულის გათავების შემდეგ განზრახული იყო კიევი მესამე დედა-ქალაქად გამოეცხადებინათო. (?).

✦ სინოდის ობერ-პროკურორმა საბლერმა კიევის მე-2 საქალებო სასწავლებლის დათვალიერების დროს, მოსწავლეთ გაზ. „კიევლ“. სიტყვით, ასე მიმართა: „მხოლოდ ჭეშმარიტ პატრიოტებსა და ნაციონალისტებს შეუძლიანთ სამშობლოს ღირსეული შვილები იყვნენ და რაიმე არგონ. ვინც თავისას გულგრილად ეპყრობა, მშობლიური არ აინტერესებს, ის ძლიერ ავნებს სამშობლოს ზრდის საქმეს და მისს ძლიერებასა და სახელს ჩირქს სცხებსო.

✦ პარაკლისის შემდეგ, კიევის ტაძარში, კოკოვცევმა ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა;

✦ დროა ნაციონალისტურ პოლიტიკას ბოლო მოეღოს, მშვიდობის გზას უნდა დავადგეთო. მემარჯვენეები ამ სიტყვებმა ააღელვა. რამდენიმე სხდომამაც გამართეს. შინაგან საქმეთა მინისტრად ბალაშოვს, კრიჟანოვსკისა და მაკაროვს ასახელებენ

✦ გაზეთი „რეჩი“ იტყობინება: კიევში წასვლამდე სტოლიპინი ერთს მაღლის წრის მოღვაწეს სწერდა პარიზში, დიდის სულის სამშვიდოველი ჩემს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობისაგან განთავისუფლება, ბიარიცში რამდენიმე ხანს დავისვენებ და მერე კავკასიის ნამესტნიკად მნიშნავენო.

პროვინცია

✦ **შირაქი** (სიღნაღის მაზრა). ბარის ფილიპოვმა სამართებლით ყელი გამოიჭრა და გარდაიცვალა. თავის მოკვლის მიზეზი ვერ გამოარკვიეს.

✦ **სოფ. ძეგლევი** (დუშეთის მაზრა). კოტე მაწიაშვილმა ჩხუბის დროს ნაჯახით თავი გაუჩეხა თავის ბიძას სანდრო მაწიაშვილს. მკვლელი შეიპყრეს.

✦ **სოფ. ზემო-ბალი** (დუშეთის მაზრა). სოფ. გეხვის მცხოვრებს შალვა ქისიშვილი, ალექსი ქისიშვილს ქვით მოუკლავს. მკვლელი შეიპყრეს.

✦ **სოფ. ახატელი** (ყარაჯალა)—თელავის მაზრა) სამაზრო [illegible] ციმბირის ჭირი აღმოაჩინა. მაზრის უფროსმა მეზობელ მაზრის უფროსებს აცნობა, და თავის ქვეშევრდომ მოხელეებს მისწერა, სასტიკი ზომები მიიღეთ, რათა სენი არ გავრცელდესო.

ქუთაისის ვითარება

ჯიბრი ქუთაისის დამახასიათებელი თვისებაა. ჯიბრი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ცხოვრება უფრო მშვიდობიან კალაპოტში იქნებოდა ჩამდგარი. ჯიბრიანობამ წარმოშვა „კალისტრატიზმი“, რომელიც მთავრობის ჩარევით გათავდა ბანკის საქმეებში და ამ დაწესებულებას დიდიხნით წაერთვა უფლება გამგეობის თავმჯდომარის არჩევისა.

ეხლაც ჯიბრის გამო ერთი ნაწილი რწმუნებულებისა ითხოვს არა ჩვეულებრივ კრების მოწვევას, თუმცა არა ჩვეულებრივი არა მომხდარა-რა იმის გარდა, რომ უფლებით აღჭურვილი ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის წევრი დამფასებლად აირჩიეს ივანე და არა პეტრე. რადგან პეტრე უკმაყოფილო დარჩა არჩევნების შედეგით, მანვე აამხედრა ხალხი. ჰაიდა, ჩვენი დაღუპვის გზაზე დამდგარი დაწესებულება განსაცდელიდან ვიხსნათო. ბევრმა დაიჯერა ეს განგაში და შეგნებულად მოაწერა ამ პროტესტს ხელი. ზოგს ისე მოუწერია ხელი, რომ შინაარსი არც კი სცოდნია. ამ ნაირათ 84 კაცის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი წარუდგა ზედამხედველ კომიტეტს, რომელიც საკრედიტო კანცელარიის განმარტებით ვალდებულია კრება მოიწვიოს, თუ ამას ითხოვს არა ნაკლებ ოცი კაცისა.

ზაფხულში, როცა კომიტეტის წევრების ერთი ნაწილი საავარაკოდ იყო წასული, ქუთაისში მყოფმა წევრებმა ამ კითხვის გადაწყვეტა გადასდეს ენკენისთვემდე და ეხლა, როგორც გავიგეთ, კომიტეტს, კრების მოწვევამდე, საჭიროდ უცვნია შეეკითხოს წერილობით იმ პირთ, რომელთაც ხელი უწერიათ კრების მოწვევის განცხადებაზე,—საჭიროთ მიაჩნიათ არა ჩვეულებრივ კრების მოწვევა, რომელიც დეკემბრის ადრე ვერ შესდგება. პასუხის მიღების შემდეგ კომიტეტი კვლავ იქონიებს, თურმე, მსჯელობას და ასე თუ ისე გადაწყდება საკითხი.

მითქმა-მოთქმას რომ ყური დაუგდოს კაცმა, ბევრი იმათგანი, რომელთაც ხელი მოუწერიათ პროტესტზე, ეხლა კრების მოწვევაზე უარს აცხადებს და, შესაძლებელია, მართლა 84 რწმუნებულის მაგივრად კრების მოწვევის სურვილი ნაკლებმა გამოაცხადოს. მაგრამ საგულისხმო უფრო ის არის, რომ ოცი მსურველი მაინც იქნება და კრებას მაინც მოიწვევენ.

რას გააკეთებს კრება? მსურველნი მისი მოწვევისა ამბობენ, ბანკზე დარჩენილ მამულებზე უნდა ვიქონიოთ თათბირი, თითქო ბანკის კრებისათვის ახალი ხილი იყოს ამ საგანზე მსჯელობა ან ვისმეს შეეძლოს ამ საჭირბოროტო საქმის გადამწყვეტი წინადადება შეიტანოს. სხვა განსახილველი საგნებიც, როგორც წინა წერილშიაც აღვნიშნე, ამ თვისებისაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კრე-

ბის მოწვევის თაოსანთა სურვილს რომ რაიმე ღონისძიებით თავიდან მოიშორონ მათთვის უსიამოვნო წევრნი კომიტეტისა და გამგეობისა და ბანკში თითონ გაბატონდნენ.

არ ვიცი, მიაღწევენ თუ არა ეს ბატონები თავის სურვილს, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ მუდმივი აურ-ზაური, რწმუნებულთა კრებების წარამარა მოწვევა ისეთი იარაღია, რომლითაც შეიძლება საბოლოოდ ძირი გამოუთხარონ ბანკს, რომელსაც სამინისტრო მაინცა და მაინც კარგის თვალით არ უყურებს.

ქვიანი.

ქართველ ისტორიკოსთა და არქეოლოგთა საყურადღებოდ

წელს, მაისში, სიონის ქუჩაზე გასაყვან მიწის ქვეშ ტელეფონისათვის თხრილის გაჭრის დროს იპოვნეს რამდენიმე ათეული ძველი ფული ვერცხლის და სპილენძისა, სხვა და სხვა ზომის და სახისა. და აგრეთვე ერთი წყვილი წისქვილის ქვა. ეს ამბავი შემთხვევით ასე გადმომცა იქ მომუშავე ერთმა ქართველმა მუშამ: ვიპოვეთ ვერცხლის ფულები, ერთზე იყო კაცის თავი და ხარი გამოხატული, ქართულს წარწერით და ქორონიკონით, მეორეზე—ირმის თავი და ციხე, მესამეზე—აჭარში გამოწყობილი კაცი მუზარდით შუბით და ცულით ხელში. სპილენძის ფული აწინდელ შაურიანზე ორჯელ დიდი იყო. ყველა ესენი ქართულს წარწერით და ქორონიკონით, კრუა მუშებმა იპოვეს ერთი პატარა ქილა სამსე ნახევარი კაპეიკიანების ტოლა ვერცხლის ფული; პირველათ სამ-სამ შაურში დაუწყეს გაყიდვა თითო მერე-ხუთი შაური გახადეს და ბოლოს ათათ შაურად და მეტადაც ჰყიდნენო. აგრეთვე ბლომად ამოვიდა სხვადასხვა იარაღის ნატეხები და ადამიანის ძვლები-ო“.

კარგი იქნებოდა მიექციათ ყურადღება ქართველ არხეოლოგებს ამ ხმებისთვის. ამ მომუშავემ მითხრა: „ერთი მე ვიპოვე ათშაურიანზე ცოტათი მოზრდილი და სამ მანეთად გავყიდე-ო“ დამპირდა, თუ ჩემს ამხანაგებს ისევ აქვთ ფულები გაუყიდავი, მოგიტანო. ბევრი ფულები შეიძინა ჩვენმა თაზე მდგომმა ინჟინერმაო. მიწის ქვეშიდან ამოვიდა ბევრი ქართული აგურები რადგან ქუჩიდან ნახევარი საჟენის ქვეშ სულ შენობები და თაღები დაგვხდა სანგრევიო. აგურები და ნაპოვნი წისქვილის ქვები მოიჯარადარე ფეფელოვმა წაიღო თავის სახლშიო“.

გახალ ნაცვლიშვილი.

სტოლიპინის მოკვლის გამო

ბაგროვის საქმის გამო გამოძიება უკვე დასრულდა. საბრალმდებლო ოქმს ადგენენ. ბაგროვი ძლიერ ავად არის; თეატრში ძლიერ ნაცემი ყოფილა.

„კიევლიანინი“ სწერს მომხდარ ამბავის პასუხისმგებელი მხოლოდ „დამცველი განყოფილებაო“. მცხოვრებლებს, კლასისა და ეროვნების განურჩევლად, არავითარი ბრალი არ უდევსო.

ო დ ე ს ა

სტოლიპინის მკვლელის ბიძა, ცნობილი ექიმი ალექსანდრე ბაგროვი დაატუსაღეს. „კასპი“.

პ. ა. სტოლიპინის მკვლელმა ბაგროვმა კიევის გიმნაზია ჯილდოთი გაათავა და კიევის უნივერსიტეტში შევიდა, რომელიც შარშან გაათავა.

ამხანაგებთან ბაასის დროს ბაგროვი მუდამ წინააღმდეგი იყო მოწყობილ გამოსვლისა და პირად მოქმედების მომხრე იყო.

უნივერსიტეტში მას ყველა ფუფუნებაში აღზრდილად, კოხტა-პრუწად სთვლიდა. ქალაქში საკუთარის ეტლით დასეირნობდა ნიკოლოზის შინელით გამოწყობილი. მთელი კიევი იცნობდა მას, როგორც მოქეიფესა და დარდიმანდს. იგი კიევის საუკეთესო საზოგადოებაში ტრიალებდა.

მცოდნენი ამბობენ, რომ ბაგროვი სოც. რევ. პარტიის „მფრინავ ჯგუფის“ წევრად იყოვო. მისი სურათი პროვინციებში რამდენიმე ჯაშუშსა ჰქონდა. 1907 წელს ბაგროვი ტერორისტულ აქტის მოსახდენად პეტერბურგში ჩამოვიდა, მაგრამ შეიპყრეს და გადაასახლესო.

შარშან ბაგროვი ისევ ჩამოვიდა პეტერბურგს, სადაც ყალბ სანოვაგის გასაღების წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების მდივნად და იურისკონსულად მსახურებდა, თუმცა ჯამაგირად 60 მანეთს იღებდა მაგრამ საუცხოვოდ სცხოვრობდა, ქეიფს ეწეოდა. მუდმივმა მოუსვენარმა ცხოვრებამ მის ჯანმრთელობას ავნო და მამამ ბაგროვი ნიცაში გაგზავნა. იქიდან კიევს ჩამოვიდა. ორის წლის წინად იგი დაატუსაღეს და ციხეში დიდ ხანს იჯდა.

პეტერბურგში ორი მისი ძმა სცხოვრობს—ვლადიმერ და სერგეი. სტოლიპინის მოკვლის მეორე დღეს პრეობრაჟენის ქუჩაზე მათი ბინა გაჩხრიკეს და ორივე დააპატიმრეს.

პატარა აზეფი.

ხმა დადის, ბაგროვი მარტო სოც.-რევოლ. პარტიის მთავარ კომიტეტის წევრი კი არა, დამცველ პოლიციის აგენტიც იყოვო. თეატრის ბილეთი ბაგროვს თავის სახელობაზე ჰქონდა და არა მამისა. ამბობენ, 1907 წელსაც ყოფილა პეტერბურგში სტოლიპინის მოსაკლავად საგანგებოდ წასული. ამისი ცნობები პოლიციის ხელთააო. იმასაც ამბობენ, კიევის დამცველი პოლიცია გადააყენეს და ახალი შეჰქმნეს, ამიტომ შესასვლელ ბილეთების გასინჯვის დროს სხვისი ბილეთით სარგებლობა შესაძლებელი იყოო.

ბოროტგამზრახველი ციხეში გადაიყვანეს და სამხედრო სასამართლო გაარჩევს საქმეს. ჩვენებაში ბაგროვი სწერს, სტოლიპინი პ. სოც.-რევ. პარტიის პეტერბურგის კომიტეტის დავალებით მოვკალიო. თეატრში ბაგროვი კიევის დამცველ პოლიციისაგან მიცემულ ბილეთით შესულა. პოლიციას დაჰპირებია, სტოლიპინის მოკვლის გამზრახველს გიჩვენებთ თეატრშიო. ყველას უკვირს, როგორ ენდვნენ პოლიტიკურად არა საიმედო პირთა სიაში ჩარიცხულსაო. ამის გამო კიევის დამცველ პოლიციის უფროსი კულიაბკო სამსახურს თავს ანებებს. ბაგროვი 27 წლისაა და ცოლიცა ჰყავს.

ეხლა უკვე გამორკვეულია, რომ კიევის დამცველ პოლიციაში ბაგროვი აზეფის როლს ასრულებდა.

როგორც გამოირკვა, ბაგროვი წარმოდგენის დაწყებისას თეატრში ყოფილა, მერე წასულა, მაგრამ ჩქარა დაბრუნებულა. ჰფიქრობენ, ალბად ჯერ ურევოლვეროდ მოვიდა, ნახა, ჩხრეკა არ არის, თეატრის მოწყობილებას გაეცნო და მერე რევოლვერისთვის წავიდაო.

ბაგროვი რომ მეორედ შედიოდა თეატრში, კარში მდგომმა პოლიციელმა ეჭვი შეიტანა, იქნება ის კაცი არ არის, ვის სახელზედაც ბილეთია დაწერილიო. ეს ეჭვი დამცველი პოლიციის უფროსმა კულიაბკომ განფანტა, რომელმაც თავისი თავდებობით შეიყვანა ბაგროვი თეატრში.

ბოგროვსა ჰკითხეს: სტოლიპინი როგორ იცანიო? პეტერბურგში სანოვაგის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის საზოგადოებაში ვმსახურებდი და სტოლიპინი საზოგადოებისაგან გამართულ გამოფენაზე ვნახეო. მაშინ შევისწავლე მისი გარეგნობა კარგად, თუმცა ახლოს არ მივკარებივარ და პოლიციამ გამოფენიდანაც გამაძევაო.

გენ. გერასიმოვის ჩვენება.

კიევში აზეფის საქმის გამომძიებლად პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსი გერასიმოვი ჩამოვიდა, მან ჩვენება მისცა და უკანვე დაბრუნდა. ბაგროვი თურმე გერასიმოვის დროს პეტერბურგის დამცველ პოლიციაში მსახურებდა.

ბაგროვის ავადმყოფობა.

ბაგროვი ავად არის. ის ძლიერ ნაცემია. მასთან ექიმი იყო.

დიმიტრი ბაგროვი „მოხალისეთა რაზმის“ დათვალიერების დროს კიევის იპოდრომზე დამცველ პოლიციის ბილეთით იყო, ბაგროვი მეტად გატაცებული კაცია. მას ძლიერ უყვარდა ტოტალიზატორი, იგი სპორტსმენი იყო და ნავში ცურაობა ძლიერ უყვარდა. კლუბშიაც ხშირად დადიოდა და თამაშობდა. აგებდა, მაგრამ ათ მანეთობით, მეტს არა, რადგან მეტიც არა ჰქონდა ხოლმე.

ბურცევის აზრი.

გაზეთები სწერენო,—ამბობს ბურცევი,—ვითომც ბაგროვს ჩემთან ურთიერთობა ჰქონოდეს. მართალი არ არის. 1909 წელს ბაგროვი „შავი მიწის“ ანარქისტთა წრეში ტრიალებდა, ეჭვი დაიბადა, ბაგროვი პროვოკატორიაო. ის პარიზს ჩამოვიდა თავის გასამართლებლად და ტერორის მომხრედ გამოაცხადა თავი. ბაგროვის ამხანაგებმა მომმართეს, მაგრამ მაშინ ბაგროვის პროვოკატორობისა არაფერი ვიცოდი და ეს საქმე დავიწყებას მისცეს.

დაწვრილებითი ცნობები.

ბაგროვი პეტერბურგიდან დაბრუნებისას კულიაბკოს სწვევია და უთქვამს:—სოც.-რევ. სტოლიპინისა და კასოს მოკვლა გადასწყვიტეს. გადაწყვეტილების ასასრულებლად კიევს რევოლიუციონერი „ნინა ალექსანდროვნა“ და „ნიკოლოზი“ გამოჰგზავნესო.

მე შემიძლიან თვალყური ვადევნო ჩამოსულთ, რომელთაც პირადად ვიცნობ.

კულიაბკომ დაიჯერა და სტოლიპინისა და კასოს მკვლელობა ბაგროვს მიანდო. ბოროტ განზრახვის ამბავი კულიაბკომ სტოლიპინის მდივანს გრაევსა და ადიუტანტს შეატყობინა, თანაც უთხრა, ყოველი საჭირო ზომაა მიღებულიო.

ბაგროვს ვაჭართა საკრებულოს ბაღში შესასვლელად ბილეთი მისცეს, მერე კი, წარმოდგენის დაწყების ერთი საათის ადრე, თეატრის ბილეთიცა.

თეატრში.

თეატრში ბაგროვი ყოყმანში იყო, განზრახვა ჰქონდა უფრო დიდი მკვლელობა მოეხდინა, მაგრამ ებრაელთა დარბევისა ეფიქრებოდაო.

პირველი ანტრაქტის შემდეგ ბაგროვი თეატრიდან გამოვიდა. ჰფიქრობენ, მეფის ლოჟის შესავალს ათვალიერებდაო. აქვე გამოსვლის დროს ბაგროვს რევოლვერი შეუძენია, რომელიც მანამდე, თურმე, არა ჰქონია.

მეორე ანტრაქტის დროს, ბაგროვი ტალანში დაუხვდა. კულიაბკო შეხვდა და უთხრა:—ანტრაქტი თავდება. შემდეგი და უკანასკნელი ძლიერ ხან მოკლე იქნება. გადით და „ნინა ალექსანდროვნას“ კარებში დაუცადეთო.

ბაგროვი მობრუნდა და კულიაბკოს პირდაპირ, სტოლიპინისაკენ გაემართა.

„მკვლელია-კულიაბკო“

კიევში 5 სექტემბერს, მანიფესტაციის დროს ბრბო უყვიროდა კიევის დამცველ პოლიციის უფროს კულიაბკოს: „კულიაბკო—მკვლელი, მკვლელი!“ დემონსტრანტები განფანტეს.

„მოტორიანი გუთანი“

ხალხის გამრავლებამ გამოიწვია ნახნავ მიწების რაოდენობის გადიდება; მან კი თავის მხრივ მოითხოვა საჭირო მუშა საქონლის გამრავლება; მაგრამ საქონლის გამრავლება ყველგან როდია შესაძლებელი და სარფა. უკვე კაი ხანია რაც სცდილობენ მუშა საქონლის ძალას რაიმე სხვა ხერხი დაუპირდაპირონ და ეს კვლევა-ძიება ამხანად სხვათა შორის ამერიკაში ჩამოყალიბდა ნავთის მოტორების*) გამოგონებით. ამ მოტორს დიდი ძალა აქვს. ჩვენს სურათზე გამოხატულ მოტორს (იხ. დღევანდელი დამატება) აქვს 45 ცხენის ძალა, ამათგან სიარულის დროს თავის თავის სამოძრაოდ ხარჯავს 23 ცხენის ძალას და დანარჩენ ძალას სამუშაოდ იყენებს.

მას შეუძლიან აითრიოს, მაგალითებრ მოიბას უკან გუთნები, სამკალი და სათიბი მანქანები: ფარცხი, ურმები; მუშაობა ერთ ადგილზე გაჩერებულსაც შეუძლიან. მას აქვს საგანგებო ბორბალი, რომელზედაც გადუგდებენ ხოლმე სხვა მანქანაზე,—მაგ., წისქვილის, სალეწ მანქანის, სანიავებელ, სარკვევ, საპენტ მანქანას ბორბალზე მოკიდებულს ღვედს და აამოძრავებს ამ მანქანებს. ამ შემთხვევაში მას შეუძლიან გამოიჩინოს 45 ცხენის ძალა.

ადვილად მოძრაობს მანქანა, მისი მობრუნებაც ადვილია: საჭიროა მისთვის ვაკე ადგილი; ოღრო-ჩოღრო ადგილზე ვერ იხეირებს, საათში გადის 8 ვერსს.

ამისთანა მანქანას ამხანად ა. ი. მანთაშევის მამულში ამუშავებენ. მან ეს მოტორი ამერიკიდან გამოიწერა; დაუჯდა ათასი თუმანი აქ მოტანით; ამ მოტორს მობმული აქვს 6 გუთანი, რომელიც ერთ გზობად ექვს კვალს ავლებენ ერთი საჟენის სიგანეზე. ერთს საათში ხნავენ დღიურს; დღეში კი—10—12 დღიურს. დღიურის მოხვნა, მამულის გამგეს ბ-ნ გ. გ. შაუმოვის ვარაუდით, 4 მანეთი ჯდება. ხნავს კარგად, მიწას მშვენივრად ფხვნის, ბელტს კარგად აბრუნებს. მოტორის ასამოძრავებლად საჭიროა ნავთი. ეს მოტორი აგებულია ამერიკულ ქარხნის ჰარტ-პარრის მიერ; გუთნები კი დირრის ქარხნისაა. ჩვენს სურათზე გამოხატულია მოტორი წინიდან გადაღებული, აქ გუთნები არა ჩანან, და უკანიდან გადაღებული, აქა სჩანს 6 გუთანი; ორს გუთანს აქვს ერთი აზარმაცი, რომლის მეოხებითაც ამოიღება, ან ჩაეშვება მიწაში, სულ 6 გუთანს აქვს სამი აზარმაცი.

ფილოქსერასთან ბრძოლა

კახეთს ამხანად ემუქრება ვენახის გამანადგურებელი პაწია, მაგრამ დაუნდობელი მტერი—ფილოქსერა. ამ სენთან ერთად ერთი საზრიანი საბრძოლველი საშუალებაა—ამერიკულ ვაზზედ ჩვენი ვაზის მყნობა.—ჩაყრა ამერიკულ ვაზის ნამყენისა. მაგრამ თვითეულ ადგილს თვისი შესაფერი ამერიკული ვაზი უნდა შეურჩიოთ. ჩვენი ქვეყანა მეტად მრავალ ფეროვანია. ხშირად მეზობლად მდებარე სოფლები ძალიან განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც ნიადაგის და ჰავის ისე თვისებით. საჭიროა გამოკვლევა, თუ ამა და ამ ადგილზე—ამერიკულ ვაზის რომელი ჯიში უფრო იხეირებს, ჩვენის ვაზის სამყნობად.

ამის გამოსარკვევად მთავრობამ გაჰმართა რამდენიმე საცდელი ვენახი—სხვა და სხვა სოფლებში შეგნებულ მევენახეებთან. ერთი ამისთანა საცდელი ვენახი გამართული იყო ხაშმში (გარე-კახეთშია). ჩვენს სურათზედ გამოხატულია ეს საცდელი ვენახი (იხილე დღევანდელი დამატება).

ბოდბისხევის თეატრი და ბიბლიოთეკა

(იხილე დღევანდელი დამატება).

სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა შორის, ს. ბოდბისხევში არსებობს უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელიც ამ ოთხის წლის განმავლობაში პირნათლად ემსახურება თავის დანიშნულებას. თავის არსებობის დროს ზოგიერთ წევრთა უგულისყურობით ბევრჯელ უკანასკნელ დღემდე მისულა, მაგრამ ზოგიერთა დაუღალავ მუშაკთა მადლიან ხელს უხსნია იგი განსაცდელისაგან და დღეს განაგრძობს არსებობას იმ პირთა მოღვაწეობით, რომელნიც თავიანთ შრომასა და ენერგიას თავგანწირულად სდებენ მისთვის და წარმოდგენებიდან შემოსულ ფულით, თუ სხვა საშუალებით სიცოცხლის სახსარს არ აკლებენ. თუ მას რაიმე სახსარი აქვს მხოლოდ ზ. ი. ნაცვალოვის, მღ. დ. ნაცვალოვის დ. ნ. ჩახნაევის, კ. ი. ნაცვალოვის, და ქ. ტ. ნაცვალოვის მეცადინეობით, რომელთაგან იყო შეკრებილი შემოწირულებანი და აქაურ სცენის მოყვარეთა წყალობით, რომელნიც დიდ ენერგიას იჩენენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენების გამართვაში. სამკითხველო დღევანდლამდე უსასყიდლოდ იყო მოთავსებული ზ. ი. ნაცვალოვის შენობაში; დღეს თვით ზემოხსენებულ ზ. ი. ნაცვალოვისაგან შემოწირულ ადგილში აშენდა სამკითხველოსთვის და თეატრისთვის მეტად მშვენიერი და დიდი საკუთარი შენობა სიგრძით 40 არშ. და სიგანით 11 არშინი, რომელზედაც,—მიუხედავად იმისა, რომ ყოველმა ბოდბისხევის ხელოსანმა დურგალ-კალატოზმა თითო-ოროლა დღე უსასყიდლოდ იმუშავა—კიდევ დაიხარჯა ნაღდ ფულად 1050 მანეთი, ეს ფული ზემოხსენებულ პირთა, რომელთაც, სხვა და სხვა მეცადინეობისა გარდა, შემოსწირეს: ზ. ი. ნაცვალოვმა და ტას. ნაცვალოვისამ 45 მან. მღ. ლ. ნაცვალოვმა 45 მან., დ. ნ. ჩახნაევმა 40 მან. და კ. ი. ნაცვალოვმა 10 მან. და გარეშე პირთაგან შემოწირულებანი შეკრიბეს 83 მან. 50 კაპ. რომელთა სია ქვემოდ აღინიშნება, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წარმოდგენებით 272 მანეთი. სულ 580 მან. დანარჩენი 470 მან. დარჩა გადასახდელი ვალად.

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველა ხელოსანს, რომელთაც ხელი წაგვახმარეს შენობის აგებაზე, ადგილობრივ სცენის მოყვარეთ, რომელთაც თავიანთი ენერგიული შრომით აღმოგვიჩინეს შემწეობა და ფულის შემომწირველთ: ქ. მაჩხაანის ბოქაულს მ. დ. ნასიძეს, რომელმან შემოგვწირა 25 მან, ა. ივრამოვმა, გ. ბოქოლიშვილმა და ვ. ი. ნადირაშვილმა ხუთ ხუთი მანეთი., ი. ნაცვლიშვილმა, გაბრო გოზალიშვილმა ოთხ-ოთხი მანეთი მღ. დ. ზუსაბაშვილმა, ვახტანგ დ. ნაცვალოვმა, ნ. კორაშვილმა—სამ-სამი მანეთი, ვ. დ. მირინაშვილმა, ე. შანშაშვილისამ, ნ. ამირხანოვმა, ტერ-ელიშ-ტერ-ასტვან-ასატურიანცმა გ. ნაცვლიშვილმა, ბ. ქაბაშვილმა, ტ. ბოლღაშვილმა—ორ-ორი მან.

დეკანოზ. ს. ბეგიევმა, ექ. ხითაროვმა 1 მანეთი და ათ-ათი შაური. ვ. ნადირაშვილმა, ნ. მელექსიშვილმა, ს. კურცხალიამ, მღ. ი. ტუკუშევმა, ი. მენთეშაშვილმა, ს. ბოსტაშვილმა, ე. ბოსტაშვილმა, ე. ჯაფარიძემ, ქ. გ. ტუხაშვილმა თითო მანეთი. და ე. შავლიაშვილისამ 50 კაპ. ჯამი ამ შემოწირულებათა უკვე ზემოდ მოხსენებულია. სხვა და სხვა წყაროებიდან შემოვიდა 85 მან.

გამგენი ამ საქველმოქმედო საქმისა უმორჩილესად სთხოვენ დახმარებას, ვისაც რამდენი შეუძლიან მიაწოდოს თვისი წვლილი ვალის გასასტუმრებლად.

ბოდბისხევში სამკითხველოს გამგეს **ზაქარია ი. ნაცვალოვს.**

ბოდბისხეველი.

პატარა ფელეტონი

სპირიდონა ჯალალანიას წერილი

წერილი ასე იწყებოდა:

„უსტარი, მინაწერი მორჩილი შვილისაგან მშობლებთან მიმართ“.

ქალაქ ტიფლისიდან სოფ. ლანირში. ძვირფასად მოსაგონარო და ყოველ წუთში თვალწინ განუშორებელო საყვარელო დედავ და მამავ!“

პირველად ათასს გკოცებ და თქვენს მშვიდობას და კარგად ყოფნას ყოვლის შემძლებელს ღმერთსა ვსთხოვ, გარდა ამისა, ვიცი თქვენი კეთილი გულის ამბავი—მიკითხავთ და თქვენი ლოცვით ვარ კარგად. მე ხელმწიფის სამსახურში დავჯექი სტრელოჩნიკათ, კაი ჯამაგირი მაქვს. ფორმაში გამოწყობილი რომ მნახო, დედა, შენი მოყვარული გულის ამბავი რომ ვიცი, გადამეხვევი და გადამკოცნი. იტყვი, მადლი ღმერთს, ეს ერთი შვილი მაინც კაცად გამოვიდაო. სულ პროკურორს ვგავარ! თანამდებობაც ისეთი მაქვს, რომ ვერც ერთი პოეზი უჩემოდ ფეხს ვერ მოიცვლის. სახელმწიფო სახელი და ყველაფერი. ახლა, დედავ და მამავ მინდა ორი გროში შევინახო ჯამაგირიდან, თქვენც მოგეშველოთ და ჩემი მომავალიც გავაუმჯობესო. ამიტომ ძალიან ეკონომიით ვცხოვრობ. საჭმელი დუქანში ძვირად მიჯდება და სახლში ვხარშავ. ამ დასაქცევში ყველაფერი საყიდელია, წყალიც-კი. საჭმელს, ხომ იცით, რამდენი პრიპასი უნდა: ლუკი, პეტრუშკა, კაპუსტა, სოლი, მარკოვი, ლავროვი ლისტი და სხვა... ჩვენში კი ლავროვი ლისტი ტყვილა ლპება. ამიტომ გთხოვ გამომიგზავნოთ ლავროვი ლისტი. ველი მოუთმენლად. დამიკოცნე ყველა ხათესავები. გაკოცებ გულში. თქვენი შვილი სპირიდონ ჯალალანია“.

კონვერტზედაც ეწერა: „უსტარი ესე მიერთვას ტიფლისიდგან სოფელ ლანირში, მის პატიოსნებას ჯიმშერ ჯალალანიას საკუთარს ხელშიდ“.

ჯიმშერს შვილის წერილი მოუვიდა, სიხარულით ცას ეწია, მაგრამ წამკითხავი არავინ იყო. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და თუთის ხიდან ჩამოათრიეს შავი თუთით პირმოთხვრილი მეზობლის ბიჭი, მოსამზადებელი კლასის მოწაფე.

რის ვაი-ვაგლახით დაამთავრა ბიჭმა წერილის კითხვა, მაგრამ ყველანი პირღია დარჩნენ.

რის გაგზავნას ითხოვდა მათი შვილი სპირიდონა? რა იყო ეს „ლავროვი ლისტი“?

ერთსა ჰკითხეს, მეორეს, მესამეს, მთელი სოფელი შესძრეს, მაგრამ მცოდნე ვერვინ იპოვნეს. დარწმუნდნენ, რომ „ლავროვი ლისტი“ სოფელში არ იპოვნება. დიდის ბოდიშისა და ალერსიანი სიტყვების შემდეგ მისწერეს, რომ „მთელი სოფელი შევძარით, ალარაფერი დავიშურეთ საძასურად, მაგრამ „ლავროლისტი“ მაინც ვერ ვიშოვნეთო“...

სპირიდონა გაჯავრდა და გაცხარებულ გულზე დასწერა: „რა დიდი შოვნა ამას უნდა? ნეუჟელი დაფნის ფოთოლი ვერ იშოვნეთ, ჩვენს ეზოში მეტი რა არისო?“...

ჯიმშერმა ერთი დიდი ტომარა დაფნის ფოთოლი გაუგზავნა შვილს, მაგრამ ეხლა ეს „ნეუჟელი“ გაუხდათ თავსამტვრევი „ლავროლისტზე“ ძნელი საშოვნი „ნეუჟელი“ შეიქნა.

გულნატკენმა, შეწუხებულმა მამამ მისწერა შვილს:

„შვილო, დაფნის ფოთოლს ქე გიგზავნი, და რამდენიც გინდა კიდევ გამოგიგზავნი, მარა ნეუჟელი ვერ ვიშოვნეთ და ნუ გაგვირისხდებიო“...

სპირიდონმა რომ ეს წერილი წაიკითხა, ამაყად თავი ჩაიქნია და სთქვა: „ეჰ, ნეობრაზოვანი ხალხია, რას იზამ!?“

ვალ. შალიკაშვილი.

მოწერილი ამბები

სამიქასის საზოგადოება (სენ. მაზ.). წელს ჩვენში პურის მოსავალი ნაკლები იყო. ცუდი პირი უჩანს სიმინდსაც, რადგან ჯერ ზრდა არ დაუმთავრებია და ცივი ამინდები დაიჭირა; სეტყვამ და სამი დღის კოკისპირულმა წვიმებმა ჭირნახული გაგვინადგურეს. წლევანდელი მოუსავლობა შიმშილს გვიქადის. ეს აუცილებელია. თან ერთი უბედურებაც გვჭირს. ეს რამდენი ხანია მდ. ცხენის-წყალი ჩვენს სოფლებს ანადგურებს, განსაკუთრებით ქობანს და ამის გამო ჩვენში მოუსავლობა უფრო მწვავდება. ამას თუ ზედ დაუმატებთ ათასგვარი ხარჯი და დღეობანი და სხვა წარმოდგენებით ჩვენი ხალხის სიდუხჭირე.

ან. მალთაძე.

უცხოეთი

ავსტრია

ვენაში მოქალაქეთა სამსჯავროსთან დიდი კრება გამართა სიძვირის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. კრებაში მონაწილეთა რიცხვი 40,000 აღემატებოდა. სოციალ-დემოკრატის მეთაურები ერთსა და იმავე დროს 40 საკათედროდან (ტრიბუნიდან) ამბობდნენ სიტყვას. ადმინისტრაციამ რინგშტრასსეს ახლო 4 დივიზია და ქვეითა ჯარის 6 ბატალიონს მოუყარა თავი.

კრების შემდეგ თავმოყრილი ხალხი ძლიერ აღელვებული იყო. რამდენიმე რესტორანი დასცხეს. ოტაკრინგში შეუპყრობელმა მუშებმა სახაზინო სახლთა ნგრევა დაიწყეს, სანგრები

— გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა —
არჩილ ჯორჯაძის თხზ.
მე-III წ. „ნააზრევი“
ფასი 85 კაპ.
პროვინციის აგენტებს ვთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ საკვიტანციო წიგნაკები ყუა და მიღებული ფული, რომ წიგნები გავუგზავნოთ დასარიგებლად ხელის მომწერთათვის.
ხელის მომწერთ წიგნები უნდა მოიკითხონ იქ, საცა მოაწერეს ხელი. (3—1)

---

*) მოტორი—უცხო სიტყვაა—წამავალ მამოძრავებელი.

ხავს, ტრამვაის ორი ვაგონი. გადაბრუნეს და ცეცხლი წაუკიდეს..

შუადამისას სოციალ-დემოკრატთა კომიტეტის სხდომა ჰქონდა და გადასწყვიტა პროკლამაცია გამოეცა, რომლითაც ხალხს მოუწოდებს, ტერორისტულად სისხლის ღვრას ერიდეთ და პარტიის ტაქტიკას ენდეთ.

იტალია და ტრიპოლი

რომსა და სტამბოლს შორის გაცხარებული მოლაპარაკება აქვთ. ყოველ დღე ახურებული დეპეშა მიდი-მოდის. სამხედრო საქმეების ორგანო „ეფერსვერენცა" იტყობინება, მთავრობა მოხერხებულ დროს უცდის ფლოტის გასაგზავნად. სხვები ამბობენ, რომში გენერალი კანევა დაიბარეს, რომელმაც ტრიპოლის მდებარეობა კარგად იცის. ამ ამბავს დიდს მნიშვნელობას აძლევენ და ტრიპოლის საქმეს უკავშირებენ. ერთმა მცოდნე პირმა სთქვა.

— საქმე მხოლოდ ტრიპოლიში იტალიის საეკონომიო ინტერესების უზრუნველყოფაზეა: ესკადრის გაგზავნა შეუძლებელია, რადგან საზოგადოების ყველა ნაწილი დიდს წინააღმდეგობას გაუწევს ამ საქმესა.

გაფიცვა ირლანდიაში.

დუბლინში გამოცხადებული გაფიცვა მთელ ირლანდიის რკინის გზებს მოედო. ორთქმავალთა მემანქანენი დამტვირთველთ შეუერთდნენ. კანტორებში მომუშავეთა კავშირი მოუწოდებს წევრებს, შტრეიკბრეხერების როლი არ იკისრონ. საქონლის შემოტანა შეწყვეტილია. დუბლინს ჯარი გაუგზავნეს.

ჩინეთი.

სიჩუანის ოლქიდან ერთმანეთის საწინააღმდეგო ამბავი მოდის. მდგომარეობა, როგორც ეტყობა, დამაფიქრებელია. მთავრობამ თავგზა დაჰკარგა და გამწარებული გამორბის პროვინციიდან. იქ დარჩენილი უფროსის ჯარი აჯანყებულთა მხარეს გადადის.

ფუნჯოუშიაც არის ამბოხება. პოლიციის უფროსი მოჰკლეს; იქ მყოფმა რაზმმა შეამბოხეებთან შესაბრძოლებლად უარი სთქვა. ხარჯის ამკრეფს ბრბომ ძალიან სცემა, ჯარსა და პოლიციელებს სროლა აუტეხა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 სექტემბერი.

საზღვარ-გარეთ.

ბრეშა. მონტიკიარის ასაფეთქებელ ნივთიერებათა ქარხანაში აფეთქება მოხდა. 16 კაცი დაიჭრა, 6 მოჰკვდა.

დუბლინი. რკინის გზის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა, მთელ ირლანდიის გზებზე საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადოს.

ბარცელონა. ორ მუშათა კავშირის წევრებთა გაჩხრეკის დროს იმდენი საეჭვო საბუთები აღმოაჩინეს, რომ ორივე კავშირის გაუქმება გადასწყვიტეს.

მადრიდი. დღეს ყველა გაზეთები გამოვიდა. ვიხონში ისევ გაფიცვაა. ქვა-ნახშირის მადაროებში რამდენიმე შეტაკება მოხდა. რამდენიმე დაიჭრა. გუშინ საღამოს მუშათა კავშირმა გაფიცვა დასრულებულად გამოაცხადა.

ვენა. კვირის დემონსტრაციებმა აზარალა — ოტაკ-რინგი — 100,000 კრონით, ქალაქის შუაგული—40,000 კრონით, მერვე ნაწილი კი—40,000 კრონით.

ბარფრუში. სადარ-ფატიხის რაზმი, რომელიც თეირანიდან საჩქაროდ იყო გაწვეული, ამოლიდან კურკუჯურს წავიდა. მაჰმედ-ალის მოადგილე ემირ-მოქარემმა თავისუფლება მიიღო და მექაში წასასვლელად ემზადება.

მონრეალი. უილფრიდ ლორიეს ლიბერალი მთავრობა სასტიკად დამარცხდა გუშინდელ არჩევნებში. თითქმის ყველა ხმა კონსერვატორთა ოპოზიციამ მიიღო.

მადრიდი. გუშინ 4 გაზეთი გამოვიდა. ახლა გაფიცულნი მხოლოდ მეეტლენი და დარჩნენ. კანალეხასმა ჟურნალისტებს შეატყობინა, გაფიცვა უეჭველად დასრულდება.

ნეაპოლი. გუშინდელმა გრიგალმა პორტიჩი, რეზინი, ტორრე და დელ-გრეკო ძლიერ აზარალა.

რუსეთი.

სტოლიპინის დაკრძალვა.

კიევი. შემოდგომის უჩვეულო დღეა. ლავრის გზით ძლიერ ბევრი ხალხი აწყდება, რის გამო შემსვლელთა რიცხვი განსაზღვრეს. 10 საათზე ეკლესია ხალხით გაივსო, კუბოს ძლიერ ბევრი გვირგვინი ამშვენებს. ხოლმის ეპისკოპოსმა ეულოგიმ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. კუბო უმაღლესმა პირებმა გამოასვენეს.

სტოლიპინის ძეგლს იმ სიტყვებს დააწერენ, რომელიც მან სახელმწიფო სათათბიროში წარმოსთქვა: „თქვენა გსურთ ძლიერი რყევანი, ჩვენ კი დიადი რუსეთი".

კიევი. სამხედრო-საველე სასამართლომ ბაგროვს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

მოსკოვი. ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა წინადადება შეიტანა, სტოლიპინის ძეგლის ასაგებად ფული გადასდეთ.

ეკატერინოსლავი. ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს თავმჯდომარის ამხანაგი, ქალაქის ნამოურავალი მოვზინოვსკი სიყალბის ჩადენისთვის ციხეში ჩასვეს. აქამდის 50,000 მანეთის თავდებობით იყო განთავისუფლებული.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს ქართულს თეატრში წარმოადგენენ ცნობილ პიესას „ედმონდ კინს". მთავარს როლს ლადო მესხიშვილი შეასრულებს.

ქუთაისი. სეზონი ქუთაისის თეატრში დაიწყება ოთხშაბათს, 14 სექტ.. წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „ეროს და პსიხეია" ჟულავსკისა. ეს პიესა გაზაფხულის სეზონში რეჟისორს მ. ქორელის საბენეფისოდ იყო დადგმული. პიესა ლექსად არის თარგმნილი ქ-ნ ბაბილინას მიერ.

ქუთაისის თეატრი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მასსიურ სცენებისათვის საჭიროა: თანამშრომელნი, ხოროს მომღერალნი და მუსიკის მცოდნე პირნი. მსურველთ შეუძლიათ პირობის გასაგებად და ჩასაწერად მიჰმართონ სცენაზე, ყოველ დღე დილით და საღამოს.

როგორც გავიგეთ ქართული დასი ამ მოკლე ხანში დასდგამს ჩეხოვის პიესას „ბიძია ვანო"-ს. რეპეტიციებს უკვე შეუდგნენ.

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ. დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ხ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვა: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუდანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვა. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

ბ. ი. ბურგენოვა: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

მ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. მ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ხ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—129)

საბუღალტრო კურსები

გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.

ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს

სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.13)

მუხრანის კერძო

სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელის 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახმახოვი—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. აბგერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.) თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალმიკაროვი—დედათა სნეულ 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი— ქირურგ. სნეულ (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს. ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50 (0—103—139

უდიდესი საჩუქარი

!!!სიცოცხლეში ერთხელ!!!

600 ნივთი მხოლოდ 3 მ. 90 კ.

1. მშვენიერი საათი—ანკერ სწორედ მოსიარულე, ექვსი წლის თავდებობით. 2. საუცხოვო საქალებო ბეჭედი, ამერიკულ ბრილიანტით. 3. ჩინებული მანიაკი, ზღვის აღმოსავლ. მარგალიტებით და პატენტ-შესაკრავით. 4. მოხდენილი და ლაზათიანი ქალის სამაჯური ამერიკულ ოქროსი „დუბლე". 5, ჯიბის ლამაზი „ნესესერი" ოთხი ნივთით. 6. ერთი წყვილი საყურე საუცხოვო ამერიკულ ბრილიანტით და პატარა შესაკრავი. 7 მშვენიერი და ლაზათიანი ტყავის საფულე. 8. ალბომი 50 საყურადღებო სანახაობით. 9. მუშტუკი-აპარატი ექიმ კოხისა, თუთუნის მავნებლობის ამაცილებელი. 10. მექანიკ. დასაკეცი მაკრატელი მშვენიერის ბუდით. 11. და კიდევ 500 სხვა საგულისხმო და სასარგებლო ნივთი. სულ, 600 ნივთში, საათიანად, მხოლოდ 3 მ. და 90 კ. (მხოლოდ საათი ღირს ამ ფასად).

ვინც ერთიდან სამ წყებას მაინც დაიბარებს, გასაგზავნ ხარჯად იხდის 55 კ., ციმბირში კი—95 კაპ.

მისამართი: О-ву «Меркурiй», Лодзь, з. 45. თუ არ მოიწონებთ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ. წერილები გთხოვთ დასწეროთ რუსულად. Метцль и К-о, 60493 (8.1494.1)

გამოცდილი **მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩინისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—25)

ქ. თელავში

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის

● წიგნი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ. (100—1140—6)

სუსუნატის წინააღმდეგ

ახალი წამალი

„SALO-პირილინი"

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая, N 7, Аптека Б. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის სააფთიაქო საქონლის მოვაჭრე ამხანაგობაში იშოვება Метцль. 12429. (45—1014—31)

ჭრა-კერვის სკოლა და სახელოსნო.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს

შესაკერად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს.

(წყნეთის ქუჩაზე, № 17, ვერაზე),

(10—803—2) გამგე ანა მერკვილაძისა.

„სორაპანის" — ამ გამოცემანი —

ქართველი მწერლები

ნაწილი I, ფასი 80 კ. (ყდით).

შედგენილი ივ. გომელაურის მიერ და ნაწ. II, ფასი 1 მ. 45 კ. (ყდით). მეძ. მისგანვე. იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. წიგნის გამყიდველებს დაეთმობათ ჩვეულებრივ პროც. ამ სახელმძღვანელო წიგნების გამოწერა შეიძლება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიიდანაც, რომელზედაც მაღაზია დაუკლებს იმდენსავე %-ს, რამდენსაც თავის წიგნს უკლებს. ვისაც სურს წიგნის პირდაპირ გამოწერა, უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, типографiя «Сорапань». (10—1450—10)



ალექსანდრე

თაბაგარი

მაღაზიაში

საკერავი და საქსოვი მანქანები,

ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

გრამოფონები და ველოსიპედები

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეზედ ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიად, (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მანქანებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ", რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—1072—40)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არხ. ჯორჯაძისა:	წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", . . .	ფ. 75 კ.
„ „	წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა"	ფ. 80 კ.
Bato ш-ისა:	„ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით"	ფ. 1 მ. 20 კ.
მ. ყიფიანისა:	«სამეგრელოს მთავარი ლევან», 4 მოქმ. დრამა	ფ. 40 კ.
შიუკაშვილისა:	«მეგობრობა», 4 მოქმ. დრ.	ფ. 30 კ.

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია".

1860 წ. დაარსებული.

ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

პარიზი 1900. **ყვავილის ო-დე-კოლონი,**

„საუცხოვო აკაცია",

„ნუ დამივიწყებ",

„მხიბლავი სუმბული".

თავისებური ძლიერი, საუცხოვო და ხანგრძლივი სურნელება.

◆ უმაღლესი ღირსებისა. ◆

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23—1292—8)

საკერავი მაშინა

ზინგერის კომპანიისა

იყიდება

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ 1 მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად 25 მანეთიდან

მაღაზიის ნიშანი.

უფთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—31)

სალიანის თევზით მრეწველ. და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მაღაზია ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ყოველ დღე ცხელი ლოში

◀ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 20 კ.

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.

(წ—1053—)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრაამიანის

საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4** თვისაა ყოველდღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 ენკენისთვიდან. კურსებზე მეცადინეობენ ბუღალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, დამოკიდებული ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. კორესპონდენცია, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, კალიგრაფია, ხელის გასწორება. მსურველთათვის უცხო ენები, სტენოგრა და რემინგტონი.

მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ საგანში ცალკე მომზადებულნი.

ატესტატებ სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 1 საათამდე, და 5-დან 7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილებანი რუსული ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამარსებელ: ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, ტელეფონი № 447

(2—1445—2)

სტამბა „სორაპანი", მიხაილოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.